ქეთევან მინდორაშვილი,

ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი

,,კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების ერთ-ერთი მიზეზი გაცვლითი პროგრამები იყო,რადგან ყოველთვის ვოცნებობდი საზღვარგარეთ სწავლაზე.პირველი კურსიდან ვიცოდი,რომ გაცვლით პროგრამაში აუცილებლად მივიღებდი მონაწილეობას.

მეორე კურსზე ვიყავი,როდესაც გადავწყვიტე გამოცხადებულ გაცვლით პროგრამაში ბედი მეცადა.მჯეროდა,რომ სწორედ ეს იყო შანსი,რომელიც აუცილებლად უნდა გამომეყენებინა.საბუთების მოგვარება რთული პროცესი აღმოჩნდა,თუმცა დანებებას არ ვაპირებდი.საბოლოოდ,როდესაც პოლონეთიდან,თანხმობის წერილი მივიღე ძალიან გავბედნიერდი.

გამგზავრებამდე,რა თქმა უნდა,ვნერვიულობდი,თუმცა ახალ გარემოს მალე შევეჩვიე.5 თვის განმავლობაში, უამრავი სხვადასხვა კულტურის ადამიანი გავიცანი და დავმეგობრდით.მქონდა შანსი დავსწრებოდი საინტერესო ლექციებს.ამ დროის განმავლობაში,უდიდესი ცოდნა და გამოცდილება მივიღე.ასევე, ვისწავლე დამოუკიდებლად ცხოვრება,ყველა პრობლემასთან მარტო გამკლავება,რამაც გამზარდა პიროვნულად.

საბოლოო ჯამში,ვფიქრობ,გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.მიღებული ცოდნა და გამოცდილება,ძალიან დამეხმარება ცხოვრებაში.მადლობა,კავკასიის უნივერსიტეტს,რომ მომცა ამ ყველაფრის შესაძლებლობა.''